

ტუბერკულოზის, C ჰეპატიტისა და აივ/ზიდსის შესახებ ცოდნის,  
დამოკიდებულებისა და პრაქტიკის კვლევა ყოფილ მსჯავრდებულებში

სალომე აბრამიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ბიზნესის სკოლაში  
საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი : თენგიზ ვერულავა,  
მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

## განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

სალომე აბრამიძე

2015

## აბსტრაქტი

**შესავალი:** მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხია. ყველა ადამიანს აქვს უფლება დაცული იყოს მისი ჯანმრთელობა. ხშირ შემთხვევაში ირღვევა მსჯავრდებულების უფლებები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. სამაგისტრო ნაშრომის კვლევის მიზანია საქართველოში ყოფილ მსჯავრდებულებში ტუბერკულოზის, აივ/შიდსისა და C ჰეპატიტისშესახებ ცოდნის,დამოკიდებულებისა დაპრაქტიკის კვლევა. სამაგისტრო ნაშრომით გამოიკვეთება იმ ყოფილი მსჯავრდებულთა ცოდნა, დამოკიდებულება, პრაქტიკა აღნიშნულ დაავადებებთან მიმართებაში, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ ჩაერთვნენ იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრის“ ყოფილ პატიმართა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროგრამაში.

**მეთოდოლოგია:**კვლევისათვის გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები. რაოდენობრივი კვლევით გამოვიკვლიე ყოფილი მსჯავრდებულების დამოკიდებულება აღნიშნულ დაავადებებთან მიმართებაში, ხოლო სიღრმისეული ინტერვიუთი კი გამოვლინდა მათი დამოკიდებულება, ცოდნა და პრაქტიკა ტუბერკულოზზე, აივ/ შიდსსა დაC ჰეპატიტზე. **შედეგები, ინტერპრეტაცია:**ყოფილ მსჯავრდებულებში აივ/შიდსთან შედარებით ხშირია ტუბერკულოზისა და C ჰეპატიტის შემთხვევა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ბენეფიციარების უმრავლესობას არ აქვს დაავადებების გადაცემის გზებსა და სიმპტომებზე სრული ინფორმაცია. დაწესებულებაში ყველაზე დიდი შანსია ტუბერკულოზით დაავადების, რაც განპირობებულია გადატვირთული საკნებით, რომლის განიავებაც პრაქტიკულად არ ხდება, ასევე გადატვირთული N19 სასჯელაღსრულების დაწესებულება, სადაც ტუბერკულოზით დაავადებული ადამიანების გადაყვანა და მკურნალობა ხდება, კვების რაციონი რაც თვის მხრივ აქვეითებს იმუნიტეტს და უფრო მოწყვლადს ხდის ადამიანის ორგანიზმს დაავადებასთან მიმართებაში. C ჰეპატიტსა და შიდსზე პრობლემას წარმოადგეს

ზოგიერთ შემთხვევაში სამედიცინო იარაღების სტერილიზების პრობლემა, არის შემთხვები კბილის ამოღების დროს დაინფიცირების, ასევე ზიარი საპარსის, საპატიმროში ზიარი ნემსით ტატუირების შემთხვევებში. **დასკვნა, რეკომენდაციები:** დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით რეკომენდირებულია მსჯავრდებულებში დაავადებების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლება ტრენინგის ან ბუკლეტის საშუალებით. ასევე სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში სისტემატიურად ტუბერკულოზზე, C ჰეპატიტსა და აივ/შიდსზე გამოკვლევების ჩატარება, რათა დროულად მოხდეს შემთხვევის აღმოჩენა და შემდგომში მასზე რეაგირება. ასევე საკნების ვენტილაციის სისტემის მოწყობა, რათა მოხდეს ჰაერის ცირკულაცია. C ჰეპატიტისა და აივ/შიდსის გავრცელების შემცირების მიზნით სამედიცინო იარაღების სტერილიზება ყველა შემთხვევაში.

## Abstract

**Introduction:** Protection of public health is one of State Importance issues. Every human being has a right to have protected health. The health rights of prisoners are being violated in many cases. Master thesis research aims to research the knowledge, attitude and practice of tuberculosis, HIV/AIDS and C hepatitis in Georgian former prisoners. With the help of this Master thesis research we will expose the knowledge and attitude towards these disease of the former prisoners, who joined the Ex-prisoners Rehabilitation and Resocialisation Program at the “Center for Crime Prevention” under the Ministry of Justice of Georgia, after they released from the penitentiary institutions. **Methodology:** There has been used Qualitative and Quantitative research methods. The ex-prisoners attitude towards the disease was investigated by the quantitative research method and by the help of in-depth interviews their knowledge and practice of HIV-AIDS, C hepatitis and tuberculosis was identified. **Results, Interpretation:** Tuberculosis and C hepatitis cases are frequent than HIV/AIDS in former prisoners. The Research results show that the beneficiaries don't own the complete information about the disease transmission and symptoms. The penitentiary institutions are the high risk places for tuberculosis, because of overcrowded cells, where there is no fresh air, the ratio of food, which also influences the problem and the #19 penitentiary institution, where people with tuberculosis are transferred and incurred is overcrowded also, all these reasons supports the disease to develop. C hepatitis and HIV/ AIDS are mainly trans missioned by medical instruments, for example during dental operation, also common hygiene items has a huge role in this kind of cases. **Conclusion, Recommendations:** With the aim of prevention of the diseases, it is recommended to spread information among the prisoners by trainings and brochures. Also systemic analysis of the disease at the penitentiary institutions will be helpful to make timely interventions. For fresh air in the cells, the air ventilation systems need to be improved. At the end all the medical instruments must be sterilized to decrease the risk of C Hepatitis and AIDS transmission.